

**ქობულეთელ მუჰაჯირთა
შთამომავლების იდენტობა
(ასაკობრივი და გენდერული ასპექტები)**

**IDENTITY OF THE DESCENDANTS
OF KOBULETIAN MUHAJIRS
(AGE AND GENDER ASPECTS)**

მზია ხახუტაიშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ნანა ცეცხლაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Mzia Khakhutaishvili

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

Nana Tsetskhladze

Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში ყველაზე კომპაქტურად სახლობენ. მათი ეთნიკური იდენტობა დინამიკურია, მულტიფაქტორულია და დამოკიდებულია როგორც კულტურულ მეხსიერებაზე, ასევე სოციოკულტურული გარემოს გავლენაზე. კვლევამ გამოავლინა ასაკობრივი და გენდერული ფაქტორების მნიშვნელოვანი როლი კულტურის შენარჩუნებასა და ტრანსფორმაციაში. მასალები ასახავს კულტურათ-შორის დიალოგებსა და კონფლიქტებს.

ასიმილაციის ნაცვლად გამოიკვეთა ქართული სამეურნეო გამოცდილების გავლენა თურქებზე, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დანერგვაზე (თხილი, ხურმა, კარტოფილი), თუმცა დღეს ეკონომიკურად თურქები უფრო ძლიერი არიან.

გენდერული სხვაობა მკვეთრად გამოხატულია ქორწინების, გლოვის წესებსა და კულინარიაში. ქალები არიან კულტურული მეხსიერების მთავარი მატარებლები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს გლოვის წესებსა და სამზარეულო პრაქტიკაში.

ქართულ კერძებსა (ღომი, (მ)ჭადი, ფხალი) და ტრადიციულ კულინარიულ ტერმინებთან (მაღახტო, ფხალ-ლობიო, ლეჩერი, ხაჭაპური)

ერთად ფართოდ გავრცელებულია თურქულიც (ჩორბა, სურუნჯი, ტათლი, ბორელი). ინგრედიენტების (მწვანილები, თხილი, კაკალი) გამოყენების მხრივაც ქართული და თურქული კულინარია განსხვავებულია. საქორწილო სუფრისთვის მეტწილად ქართულ კერძებს ამზადებენ.

გლოვისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესები მუსლიმურია (მიცვალებულს იმავე დღესვე ასაფლავებენ, ჭირისუფალი შავებით არ იმოსება). ქრისტიანული კვალი შენარჩუნებულია ფრაზეოლოგიზმებში (მამა გიცხონდა, მამაცხონებული); შელოცვებში მოიხსენიება წმინდა გიორგი. კულტურული მეხსიერება ჩანს იდიომში: „რუსი ხუმ არ მოგდევს?“

უფროსი თაობა კარგად ფლობს ქართულს, ახალგაზრდობა ქართულ საუბარს იგებს, მაგრამ ქართულად ვერ ლაპარაკობს. ისინი განათლებას თურქულ ენაზე იღებენ და ენობრივი იდენტობის შენარჩუნებაში მათი როლი ასაკოვან თაობასთან შედარებით შესუსტებულია.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციები ძირითადად დაცულია, დღესდღეობით შერეული ქორწინება მიღებულია, მაგრამ რამდენადმე შენარჩუნებულია ტენდენცია, ქართველი თურქს არ გაჰყვეს ცოლად. ახალგაზრდები თავად აკეთებენ არჩევანს, მშობლების როლი შესუსტებულია, შუამავლისა – იგნორირებული, ხოლო ქალის მოტაცება და ზოგიერთი ტრადიცია (ღამის ქორწილები, გევეზობა, სუფრის დაკავება) თითქმის დავიწყებულია.

იდენტობა ყველაზე კარგადაა დაცული სამზარეულო ტრადიციებში, თუმცა სარწმუნოებრივი იდენტობის გავლენა დიდია: ტირილსა და ქორწილში ღვინო არ ისმება.

ხანდაზმული თაობა ახალგაზრდებისგან განსხვავებით ინარჩუნებს როგორც ენობრივსა და კულტურულ იდენტობას, ისე ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები: ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები, ქართული იდენტობა, ქართული ტრადიციები.

ABSTRACT

In Turkey, the descendants of Kobuletian muhajirs are the most densely settled. Their ethnic identity is dynamic and multifactorial, shaped by both cultural memory and the sociocultural environment. The research reveals the significant roles of age and gender in the preservation and transformation of culture. The materials reflect intercultural dialogues and conflicts.

Instead of assimilation, the study highlights the influence of Georgian agricultural expertise on Turks, including the introduction of crops such as hazelnuts, persimmons, and potatoes. However, Turks are currently economically stronger.

Gender differences are distinctly expressed in marriage customs, mourning practices, and culinary traditions. Women are the main carriers of cultural memory, particularly evident in rituals of mourning and culinary practices.

Alongside Georgian dishes such as ghomi, chadi, and pkhali, as well as traditional food-related terms like malakhto, pkhal-lobio, and khachapuri, the Turkish gastronomic vocabulary—chorba, surunji, tatli, and börek—is also widely used. There

are distinct differences between Georgian and Turkish cuisine, particularly in the use of ingredients such as herbs, hazelnuts, and walnuts. Typically, Georgian dishes are served at wedding feasts.

The customs surrounding funerals and mourning are rooted in Islam, where the deceased are typically buried on the same day, and the bereaved refrain from wearing black. Nonetheless, Christian elements persist in certain expressions (e.g., *mama gitshkhonda*, *mamatskhonbuli*: (lit.) may your father be blessed, the blessed one// May your father rest in peace// God rest your father's soul). Saint George is also mentioned in blessings. Cultural memory is reflected in the following idiom: *rusi khum ar mogdevs?* Is the Russian chasing you?

The older generation has a strong command of Georgian, while younger people understand the language but are unable to communicate in it. They receive their education in Turkish, which considerably weakens their role in maintaining linguistic identity relative to the older generation.

The traditions of hospitality are largely preserved. Marriage traditions have transformed; intermarriage is now accepted, however, there is still a tendency for Georgian women to avoid marrying Turks. Young people are making their own choices; parental influence has weakened, the role of matchmakers is disregarded, and some older practices (such as night weddings, excessive joking, and setting the table) are almost forgotten.

Identity is best preserved in culinary traditions, although the impact of religious identity is significant: wine is not served at funerals or weddings. Unlike young people, the elderly maintain both their ethnic and cultural identities, as well as traditional agricultural practices.

Keywords: descendants of Kobuletian Muhajirs; identity; age; gender.

შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარიდან მუსლიმ ქართველთა თურქეთში გადასახლების – მუჰაჯირობის დროს ენობრივი, კულტურული, გენდერული და თაობათაშორისი ურთიერთობები უცხო გარემოში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებაზე იყო კოორდინირებული. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების იდენტობა ასახავს როგორც მისი შენარჩუნების, ასევე ტრანსფორმაციის პროცესების დინამიკას იმ განსხვავებულ სოციოლინგვისტურ, სოციოკულტურულსა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოში, რომელშიც დომინანტური კულტურა თურქულია.

ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: რომელ ქართულ ტრადიციებს მისდევენ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები; რა შეინარჩუნეს მათ და რა გადაიღეს თურქული კულტურიდან; როგორია ქორწინებისა და გლოვის ტრადიციები; რომელ კერძებს ამზადებენ; რომელი სქესის რესპონდენტები არიან კულტურული მემკვიდრეობის მატარებელნი და გადამცემნი; რა ასაკის რესპონდენტები ფლობენ უკეთ ქართულს; რაა შენარჩუნებული და რა შეცვლილი ქართული ენისა და კულტურის გადაცემის მხრივ?

ემპირიულ მასალად გამოყენებულია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები, რომლებიც სხვადასხვა დროს (1995, 2009, 2013 და 2023 წლები) არის ჩაწერილი, რაც არსებული ტენდენციების დანახვის საშუალებას იძლევა.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები შესულია შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ (ბათუმი, 1995) (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ფაცა 1995). შუშანა ფუტკარაძისა და მზია ხახუტაიშვილის მიერ 2008 წელს ჩაწერილი ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშები გამოიცა 2009 წელს (იხ. მ. ხახუტაიშვილი, შ. ფუტკარაძე, 2009; შემდგომში – ფაცა 2009). 2012 წელს ჩვენი უნივერსიტეტის (ბსუ) ქართველოლოგიის ინსტიტუტმა ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში ჩაატარა კომპლექსური საველე ექსპედიცია, რომლის მასალებიც გამოქვეყნდა 2013 წელს (მ.ფაღავა, მ.ცინცაძე, მ. ბარამიძე; შემდგომში – ორდუ 2013). უახლესი მასალები ჩაწერილია ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტის („ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსი“) ფარგლებში (ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 2 დეკემბრის №01-02/283 ბრძანება). აღნიშნული პროექტის მიზანი ორდუს ვილაეთის ფაცის რაიონის ქობულეთელი მუჰაჯირებით დასახლებულ სოფლებში „დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერებისა თუ წარწერების მოძიება იყო. შეგროვდა ენობრივად და ლინგვოკულტუროლოგიურად მეტად საინტერესო ზეპირსიტყვიერი მასალა, რომლის ნაწილიც უკვე შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში (მ. ხახუტაიშვილი, ნ. ცეცხლაძე 2024: 172; შემდგომში – ფაცა 2024).

ნაშრომი მიზნად ისახავს არსებულ მასალებზე დაყრდნობით ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების იდენტობის ასაკობრივი და გენდერული ასპექტების გაანალიზებას.

საკითხი საინტერესოა ლინგვისტიკის, დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიისა და სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი, ლინგვისტური ანალიზისა და სინთეზის, ეთნოლინგვისტური, სოციოლინგვისტური და გენდერული ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა

მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები, ანუ გურჯები, ეთნოგრაფიული ცნობიერებით არა მარტო თურქებისგან, არამედ ერთმანეთისგანაც განსხვავდებოდნენ: „ზოგადეთნიკური ცნობიერების გამომხატველი ეთნონიმი **გურჯი** ლოკალური ცნობიერების სახეობო ჯგუფების ამსახველ სახელწოდებად დანაწილდა: აჭარლები, ქობულეთელები (ჩურუქსუელები), მაჭახლელები, ბათუმელები, შავშელები“ (მგელაძე 2013: 83).

შეგროვილ მასალებში ქობულეთელის, აჭარელისა და მაჭახლელის განსხვავებულობის შესახებ ხშირად ხაზგასმითაა საუბარი:

„ჰამლუხში სუფთა აჭარლები არიან, დანარჩენში ქობულეთელები არიან. მიტრაპოლში არიან აჭარლები“ (ფაცა 2009); „აჭარა სხვაა, ჩურუქსუ სხვა, მაჭახელი – სხვა (ფაღავა... 2013: 5). ამ გაგებით აჭარელი ქედის, შუახევისა და ხულოს მკვიდრია. ჩვენებურებს არგუმენტად მეტყველების თავისებურებებიც მოჰყავთ.

ქობულეთელები ამ მენტალობით წასულან მუჰაჯირად. მათი მეტყველებისა და ყოფის განსხვავებულობის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა. საუბარია ქობულეთური მეტყველების აჭარული დიალექტის ცალკე კილოკავად გამოყოფაზეც (ნიჟარაძე 1975: 15-22; ფაღავა... 2017: 41).

ჩურუქსელები (ქობულეთელები) ზემოაჭარლებთან შედარებით დაბლა, ამასთან, ყველაზე კომპაქტურად დასახლებულან და ქობულეთური კულტურა შეუქმნიათ: „აქ ჩურუქსელები ვცხოვრობთ, აჭარლები და მაჭახლელები აქ არ არიან“ (ფაღავა... 2013: 6). მათი შთამომავლების მეტყველება იდენტობის დაცვის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა. 1995 წელს ფაცელი რესპონდენტი ნიაზ კაკალოღლი (კაკალოძე) ასე გამოხატავდა თავის უწყვეტ კავშირს საქართველოსთან: „მე საქართველოს ერთი წუთი სისხლი ვარ, გულზე ვიკრი საქართველოს ჰარითას (თურქ. harita – რუკა) აგერ მაქ, გულის ჯიფეში, საქართველოს ერთათ დავედივარ ამ იაზანჩ მიწაზე, ყური სულ გურჯისტანისკენ მაქ. ცხრა აპრილზე რომ გუუჭირდა ქართულ ხალხსა, სამასი დაწკეპილი გურჯი შევეყრეთ და თოფლანთი ვქენით, რით მივეხმაროთ ჩვენ ძმებსაო“ (ფაცა 1995: 121).

ნაშრომში განვიხილავთ იდენტობის ცალკეულ ასპექტს.

I. კულინარია და სამზარეულო

კულინარიული ტრადიციები წარმოადგენს ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მარკერს. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფაში ქართული სამზარეულოს ელემენტები დიდწილად შემონახულია. კერძების მომზადების წესებსა და ინგრედიენტებში დღემდე იგრძნობა განსხვავება ქართულსა და თურქულ კულინარიულ ტრადიციებს შორის.

საინტერესო ფაქტია ქორწილზე ქართული საჭმელების მომზადების პრაქტიკა: „დუგუნზე გურჯიჯე საჭმელ გავაკეთებთ, ფილავებს გავაკეთებთ ქათმთან, ქერით გავაკეთებთ ქეშკეკ; მოვხარშავთ იმას იშტე, ტათლსაც გავაკეთებთ, სინზე გავაკეთებთ, იმათ მივცემთ ფურუნში“ (ორდუ 2013: 196).

ორდუელ მუჰაჯირთა შთამომავლების 2013 წლის მასალებში რესპონდენტები საუბრობენ მწვანილის განსხვავებული მოხმარების შესახებ: „ჩვენ საჭმელებში ბევრ ნიორ, ხახვ, ქინძ, პრასას ვურთობთ, იგინმა (თურქებმა) არ იციან“ (უსუფ ინაიშვილი, ხასან ნიჟარაძე, ხუსეინ ნინიძე, ერქან ბეჟანიძე. ორდუ 2013: 181).

მასალები შეიცავს ქართული კერძების (ფხალ-ლობიო, მალახტო) მომზადების წესებს: **მალახტო:** „შაშპრამი, პრასა, სურუნჯი მწვანე, ყორავე, იმისაც ჩააგდებთ, სიმინდს (აქ კაკალი) ჩახრისე“... (აიშე სომოღლი (სომი), 75 წლის; ჰაჯერ სომოღლი, 52 წლის. ქობ. 2013: 196); „ლობიოს მოლახტოს აკეთებს, თხილ ტეხავს, დანაყავს ლამაზათ, პრასას გუურევს, იმას უკან მაკიდოს ლამაზათ გუურევს შიან, იმას უკან სურუნჯის დაჭრის“ (გურქან ჩილოღლი, 44 წლის. ორდუ 2013: 190); ლობიოს მოვხარშავთ, ტომატეს დავაყრით, ქინძი, ნიორს, პრასას, ზოგიც ქინძსაც ურთავს, მაკიდო, პირპილას, თხილს (ნიგოზი აშავებს), ვურთავ ყორაოსაც (ორდუ 2013), ჰურია ჩეთინი (ჯინჟარაძე), 38 წლის, სოფ. დუაფერი).

„ძალე ძმარში ქინძს ურევთ ნიგოზი, წვანე ქინძი, პიტნა, ამაში კვერცხები. ჩვენი დიდვანები გემრიელს აკეთებდნენ. ყაურმა – ძროხის ხორცს. დაშქრი. თენჯერში აშიშინდება, წვენი შუუსკტება, ჩავაყრით ხახვს, სალჩას, წვენი

დუშუშრება, იაღს და საღჩას ვურთავ. მემრე წყალს დუუსხამ და ხორცის მოხარშვაში, მეიხარშვის ძროხის იაღში მოხრაკული ჭადის ქიბილი, მუაჰნეე ნიგოზს (ჭადის ქიბილამდე) ნიგოზი, ზაფრანა, ნიორი დანაყული გაღესო უნდა, დაასხა“ (ფაცა 2009).

განსაკუთრებულად საინტერესოა თხილისა და ნიგვზის გამოყენების პრინციპული მნიშვნელობა ქობულეთური კერძებისათვის, რაც აშკარად განასხვავებს მათ თურქული სამზარეულოსგან. აჭარაში დასახელებული კერძები კაკლის გარეშე არ მზადდება, ამიტომ საუბრობენ რესპონდენტები: „ახლა აქ ისე ვაკეთებთ, თქვენთან რომ აკეთებენ ფხალ-ლობის: მოხარჩვენ, კაკალი იყოს'და, კაკალი, ქინძი, ნიორი, პიტნა-მიტნა, კაკალა უნდა იყოს“ (უსუფ ინაიშვილი, ხასან ნიჟარაძე, ხუსეინ ნინიძე, ერქან ბეჟანიძე. ორდუ 2013: 189).

ლობის წვენში მკვახე ყურძნის თუ ყორაოს (კვარაჩხი), თხილისა თუ ნიგვზის გამოყენება პრინციპული სხვაობა არაა, ფხალ-ლობის კი აჭარაში უნიგვზოდ არასდროს აკეთებენ, მაშინ როცა თურქეთში ნიგვზიან კერძებს არ ამზადებენ.

ზოგი კულინარიული ტერმინი (მაღახტო, ლეჩერი, ხაჭაპური, ზეთიანი ქათამი) შენარჩუნებულია, ზოგი კიდეც თურქულია (**სურუნჯი** „ნიორი“, **ტათლი** „ტკბილეული“):

„**ბიაღს ლეჩერი** კადა, **ლეღვის ლეჩერი** გავაკეთებთ, ძალვან კადა“ (ორდუ 2013: 181).

მუჰაჯირთა შთამომავლებს ძირითადად შემოუნახავთ ტრადიციული ქართული სამზარეულო (ღომი, (მ)ჭადი, ზეთიანი ქათამი, წვენიანი ფხალი, (მ)შრალი ფხალი). ბუნებრივია, იციან თურქული კერძებიც: ჩორბა, ბორელი, ბაქლავა... (ფაცა 2024: 181).

„ხორციტ **იაჰნი**, **ყაურმა**, მოხრაკული ხორცი გაკეთდება, ქათმის ხორციტ ზეთიანი ქათამი (ბაჟე), ნიგოზიანი, ნიგოზი დეინაყვის, მემრე გაწურავ. გამონავალი იქნება ომბალო. ზაფრანა გააყირმიზებს“ (ფაცა 1995); შავი ლობიე, წვენიანი ფხალი, ფათლიჯანი ნიგოზიანი, ზეთიანი ფათლიჯანი. რძის ფაფა, რძის მაკარინა (ფაცა 2009).

თ. ჩოხარაძე იმოწმებს წარმოშობით ქობულეთელი უნიელის ნათქვამს: „ჩვენ სტუმრის მეტი სიყვარულით ვაკეთებთ საჭმელსო“. იდენტობის ტრანსფორმაცია, „ჩვენებურობის გადარცხვა“, სამზარეულოსაც შეეხება ოდესმე, თუმცა ჯერ კიდევ კარგადაა შენახული ჩვენებურთადიასახლისების მიერ შენახული იდენტობის ეს საკმაოდ მყარი საფუძველი“ (ჩოხარაძე 2013: 117).

მოკლედ, სამზარეულო ტრადიციებში შედარებით კარგადაა დაცული იდენტობა, თუმცა სარწმუნოებრივი იდენტობის გავლენა დიდია: ქორწილში ღვინოს არ სვამენ.

II. ტრადიციები

მუჰაჯირთა შთამომავლების იდენტობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად აღიქმება ის წეს-ჩვეულებები და რიტუალები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქორწინების ტრადიცია: სიძის დარჩენა დედოფლის სახლში, ღამის ქორწილები, საჩუქრის (ბახშიშის) ყიდვის ტრადიცია, დედოფლის ცხენით გამოთხოვება, გევეზობა და სხვ. შერეული ქორწინება, მოტაცება დღეს უკვე შეცვლილია.

II. 1. სტუმარმასპინძლობა

მუჰაჯირთა შთამომავლების კულტურული იდენტობის ყველაზე მძლავრ მარკერად წარმოგვიდგება. ე.წ. „მოსაფირის ოდის ტრადიცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზემოაჭარულ ცხოვრებასთან, აბრეშუმის გზასთან და, მიგრაციის მიუხედავად, ახალ გარემოშიც იდენტობის დაცვის ერთგვარ ინსტრუმენტად დარჩა.

მასალებში დაცულია ცნობები სტუმრისთვის განკუთვნილი ოთახის შესახებ, რომელსაც **მოსაფირის ოდას, მეიდან ოდასაც** უწოდებენ. სახლს ორი კარი ექნებოდა, მეიდან ოდას ცალკე შესასვლელი ჰქონდა. „ვორი კარი იქნებოდა, **მოსაფირის ოდაის** ცალკე; 1975 მოსულან გუუკეთებიან ერი მერდევანი ასასლელი, ერი სტუმრის ასასლელი“ (ფაცა 2009).

მეიდან ოდა ზემო აჭარაში იმ მგზავრის თავმესაფარი იყო, რომელსაც გზაში დაუღამდებოდა. ეს იყო სასტუმრო ოთახი ან პატარა სახლი, სადაც სტუმრები რჩებოდნენ. ის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა სახლში. იზოლირებულობისთვის მას ცალკე შესასვლელი ჰქონდა, კარი ეზოში გადიოდა და საჭიროების შემთხვევაში იკეტებოდა. ოდას ცალკე კიბე და საპირფარეოც ჰქონდა. სახლის პატარა ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა, რაც ნიშნავდა, რომ სტუმარი მივიდა. თუ მასპინძელი შინ არ იქნებოდა, სტუმარს მეზობელი გაუმასპინძლდებოდა (დაწვრილებითი ცნობები იხ. რობაქიძე 1980: 20).

სახლის არქიტექტურაშიც კი აისახება სტუმრისადმი დამოკიდებულება: მოსაფირის ოდას ცალკე კარი, კიბე და ხშირად საპირფარეოც ჰქონდა. სტუმრის მოსვლის ნიშანი, ოდიდან გამოსული შუქი მთელი თემისთვის მნიშვნელოვანი სიგნალი იყო. ეს კოლექტიური პასუხისმგებლობის კულტურულ კოდზე მიანიშნებს.

მუჰაჯირთა შთამომავლების ცხოვრებაში ტრადიცია არკარგავდა ძალასა და შინაარსს. „ვორი მოსაფირი მუუვლენ და ერ ცხვარს გეიქნევენ“ (ფაცა 2024). სწორედ ამით ამტკიცებდა მუჰაჯირი საკუთარი განსხვავებულობის, კულტურული ერთგულებისა და მორალური სტაბილურობის განცდას.

II. 2. ქორწინება

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშებში დაცულია **საქორწილო რიტუალები** და **წეს-ჩვეულებები**: ქორწილის ღამის დედოფლის ოჯახში გათენება, ღამის ქორწილები და ა.შ.

„ფაცაში... ქორწილზე დოდოფლის მისი ოჯახიდან რომ გამეიყვან, მის ოჯახში გათენება არის“ (ორდუ 2013: 183);

„ქორწილს იქდენ, დოდოფალს მეიყვანდენ. მოზობლებიც იყვენ, ცხენით იყვენ, ცხენზე მეავშრე, ხელტაცნილი ხავდენ, ერთი იქიდან, ერთი აქიდან. ახლობელი, ძმობილი იქნებოდა, მისიანიდა იყოს.. რუმ ჩამეიყვანდენ ცხენიდან, მეავშრე შეჟდებოდა, გააჭენებდა. დადეები წახვებოდენ, ერ ღამეს გაათევდენ, გატეხვიდენ ჭიქას, მალვიდენ, გატეხვიდენ. მაყარი კაცები იყო, დადე ეთქვა. მეითხოვდენ ქემენჩა და რაზი იყო...“ (ფაცა 2009).

„დედოფალს რუმ ნეფის ოჯახში მიიყვანდენ, სიმაური ძროხას გამოჰგრიდა; ჭიქას დუუდებდენ ფეხთან, გააგორეო. თუ დიდათ გააგორებდა არ მიეწონებოდენ; შექერლერს და ფულს გადააყრიდა ნეფე დოდოფალს. დოდოფალს ყირმიზათ გადაფარებული ხონდა, რამე არ უჩანდა; სუნაგ კატასავენ ააფარებდენ თვალებზე“ (ფაცა, 2009)

მხარეებს შორის შეთანხმება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ზოგჯერ საქმე ქალის მოტაცებით – „აწევით“ მთავრდებოდა: „კაც თუ უნდა შენი თავი, კარქობით მოქცემს. ერთი ყაინის ქალი ავაწევინე. ყაინს შეერიგა გოგოვს ბაბამ, მე ისე მოკტა, არ შემერიგა. დუნიალული დაბდნეს. თხილებში აწვით. დეგვესიენ, გვესვით ფიშტოები. ხიდზე დავდექი, ფიშტო დუშმიზნე, დაგხოცავთ-მეთქი. არ გვესროლეს გვიცნეს და... სხვა სოფელში წევყვად...“

ზოგჯერ დაპირისპირება უფრო შორს მიდიოდა, ტრაგედიაც დატრიალდებოდა (ფაღავა 2013: 10-11).

ზემოთ აღწერილი წესები უკანასკნელი მასალების მიხედვით არსებითად შეცვლილია: „ქორწილობა ასეა, ნიშანი იქნება ორ თვეს, სამ თვეს, მასკან დუღუნი მიდის იშტე! მოტაცნა აღარაა“ (იაშარ ხახუტაიშვილი. ფაცა 2024: 200).

საქორწილო ტრადიციებიდან აღსანიშნავია **გევეზობა** (ზ. აჭარ. თურქ. Geveze – ყბედი. წრესგადასულ, თავშეუკავებელ ოხუნჯობას ნიშნავს (შ. ნიჟარაძე. – ღლონტი 1974). გევეზობა ქორწილთან დაკავშირებული მოვლენაა. ქორწილის ბოლოს მაყრიონის მხრიდან ჩხუბის ატეხა, აყალმაყალია. ეს წესი ჩვენთან სამი ათეული წლის წინაც სრულდებოდა.

გევეზობის ნაწილია სუფრის დაკავების წეს-ჩვეულება: „მერე ქორწილს ვიქდით. იმ დღეს დილაშდე გავათენებდით იქ... რა გინდა, მოგიტანონდა. კარიდან შევლიან, ფანჯრიდან გველიან. ჰაერში ვსროლილობდით, არ მოიტანა, თავანი დეიხრიტებოდა, **გევეზობას** ვეტყოდით. ერი კაცი წეიქცეს, რა უნდებიან, მეიტანოს უნდა, ნემსი შაასობენ, გაკუჭება არ არის. გაკუჭდები, სახლს წააქცევენ“ (ორდუ 2013: 181).

ან კიდევ: „გოგოს ფეშინში წაყვებოდი... მიორე სართულზე ხარი ამუაყვანიე. იმ მერდევანზე ხარი რაფერ ეიყვანეს, კაცი ძლივს იარებოდა. რა გაკლიაო, ხარი გვაკლიაო, მეიყვანეს“ (ორდუ 2013: 194).

პროფ. ნ. მგელაძე თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირთა საქორწინო ტრადიციებში დადასტურებული ამ საინტერესო ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებ წერს: „კონფლიქტის მსგავსი სიმულაცია კავკასიის, მათ შორის, ქართველი ხალხის არაერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფში ვლინდება, განსაკუთრებით იგი აჭარის მთიანეთის მოსახლეობას ახასიათებდა, მუჰაჯირებთან კი ზოგიერთი ისეთი პლასტი დაკონსერვდა, რომელიც აჭარის მოსახლეობამ დროთა განმავლობაში დაკარგა“ (მგელაძე 2013: 97).

სავარაუდებელია ისიც, რომ შერეული ქორწინებისას ქართულ-თურქულ კულტურათა შეუთავსებლობა ინციდენტით დასრულებულიყო, რამაც გადააფასა ეს ტრადიცია. ასეც რომ არ ყოფილიყო, დაზარალების თავიდან აცილება საჭირო გახდებოდა. 2023 წელს ერთი რესპონდენტი დანაშებით ამბობდა: „ერ ათ წელწადს ოჯახი წელში ვერ გემდართებოდაო“ (იაშარ ხახუტაიშვილი, 73 წლის). მოკლედ, ეს ტრადიცია ბოლო პერიოდში ჩაწერილი მასალების მიხედვით გადავარდნილია, რადგან გევეზობის დროს ოჯახი მატერიალურად ზარალდებოდა.

განსაკუთრებით საინტერესოა, ქორწინება იყო თუ არა შერეული. ასიმილაციის შიშით შეპყრობილი მუჰაჯირები თავს იკავებდნენ თურქებთან ქორწინებისგან. უფრო მეტიც, ქობულეთელი ცდილობდა

ქობულეთელზევე დაქორწინებულიყო. 2013 წლის ექსპედიციის მასალებში ასეთი დიალოგია:

„ – ჭო, გოგო გაათხვე?

– კი, აჭარლებში! (ფაღავა 2013 ა: 15).

ქართველისთვის ზოგი თურქული ტრადიცია პრინციპულად მიუღებელია: ნენემ მომკდარა და მის დამ გაზარდა, ასევე ერქვა... ასე მეიყვანა, იმფრათ იქნება გო? დავკლი იმფერ სიძეს“ (ორდუ 2013: 197). აქ გაკრიტიკებულია სიძის მიერ გარდაცვლილი ცოლის დაზე დაქორწინება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ საინფორმაციო საშუალებათა ქსელის ხელმისაწვდომობის გამო „ქართველ მუჰაჯირებში ეთნონიმმა **ქართველმა**, რომელიც ადრე ქრისტიანს ნიშნავდა, ეროვნულობის აღნიშვნის ფუნქცია შეიძინა“ (მგელაძე 2013: 83).

2013 წელს ჩაწერილ მასალაშივე ვკითხულობთ: „თურქს გოგოს არ მივცემთ, არც ვითხოვთ, გლახა საქმე არის. იგინის ადეთები არ მოქვწონდება“ (უსუფ ინაიშვილი, ხასან ნიჟარაძე, ხუსეინ ნინიძე, ერქან ბეჟანიძე (ორდუ 2013: 181).

ბსუ-ს კვლევითი ცენტრის 2013 წლის ექსპედიციის დროს ერთმა რესპონდენტმა ქართველ მკვლევრებს ძველი სურათი აჩვენა, რომელზეც ორი მიცვალებული და შეიარაღებული მამაკაცები არიან გამოსახული. ის მათ შემდეგ ამბავს მოუყვას: „თურქს შუუყვარდა ქართველის გოგო, ჩვენებური. არ მიცა ბაბამ, თურქი ხარ, კუდიანიო. იმის მემრე ათი კაცი აწია და ორდუში ვინც ჩვენებური ცხოვრობს, მოკლა... ჩვენებურები ადგენ, მად კაცი მოკლან და, თამაზოლლები არიან, დიდი გვარი... მად კაცი მოკლენ. ლექსი გამუთქვეს, თურქეთში თელმა იცის მად ლექსი“ (ფაღავა... 2013: 9).

ეს მიგვანიშნებს ქართველობის შენარჩუნების სიმძნელეზე უცხო მხარეში.

2023 წელს რესპონდენტი სულიმან ჯინჭარაძე, რომელსაც თურქი ცოლი ჰყავს, გვიყვებოდა: „თურქებს გოგოს არ მივსცემდით, ავართუმდით პაწაწას, ჩვენ არ მივსცემდით“ (სულიმან ჯინჭარაძე) (ფაცა 2024: 195).

შერეული ქორწინება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინდიკატორად ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესში. დღესდღეობით ვითარება შეცვლილია, თუმცა ტენდენცია მაინცაა შენარჩუნებული.

ნათესავებს შორის ქორწინება დღეს პრინციპულად მიუღებელია ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის: „ჩვენები იქიდან მოტანილი ადეთიდან არ იქმენ. მოსხრეკილი, მობღუნკული... ერთმანეთობაში დასახლდენ და იმიტომ. თურქები ყოლიფერს ეწევან. ბუძიედშილი, დეიდადშილი, ტადადშილი... დღემანდელმა დედაბერის სიმაურმა ბადიშებს უთხრა, რომენ ერთქვანობაში არ ითხოვთ, არ გაათხოვთ, იქით მისცეთ, აქეთ მოსცემთ, არ მაქ გაგონილი“ (ექრემ ჯინჭარაძე) (ფაცა 2024: 195).

2013 წლის მასალების მიხედვით საუბარი იყო იმაზე, რომ ქორწინებისას გადაწყვეტი მშობლების სიტყვა იყო, ახლა კი ახალგაზრდები ირჩევენ ცხოვრების მეგზურს (იამარ ხახუტაიშვილი, ფაცა 2024: 200).

ქართველ მუჰაჯირთა საქორწინო ტრადიციები ყურადღებას მრავალი კუთხით იქცევს. „საქორწინო ურთიერთობების ყველა საფეხურზე

კულტურის ეროვნული ნიშნების სტრუქტურირებული მოდელირება იგრძნობა, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ „სამშობლოს მოწყვეტილი თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირები წინაპართაგან მემკვიდრეობით ტრანსმისირებულ ცხოვრების სოციალურ წესს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ“ (მგელაძე 2013: 100).

II.3. გლოვასთან დაკავშირებული წესები მუსლიმანურია: „რომ მოკტება, იმ ღამეს ავწევთ, იმას უკან სამ დღეს ვიტყვით, ხალხი მოვლენ, შვიდ დღეს უკან მევლად ვაკითხივით, ორმოზდათორმეტზე დავეთ ვიკებით, ხოჯები მოვლიან, საჭმელ ვაძლევთ. მევლადის საჭმელებია: ტათლი, ქათმის ჩორბა, ქათმის ხორცი, ხორციანი თეთრი ლობიო (ორდუ 2013: 190).

ზოგი წესი განსხვავებულია: „აქ რაც უნდა, ის ჩეიცვი, აქ შავ არ იცმენ“ (ორდუ 2013: 190).

მუჰაჯირთა შთამომავლების ქორწინების ტრადიციების ანალიზი ცხადყოფს, რომ დროის ცვლასთან ერთად ისინი ტრანსფორმირდა: მოტაცება, გევეზობა, ნათესავის შუამავლობა აღარ გვხვდება. თანამედროვე თაობაში პარტნიორის არჩევანი ინდივიდუალურია და მშობლების ავტორიტეტი შედარებით შესუსტებულია.

მიუხედავად ამ ტრანსფორმაციებისა, ქორწინების თემატიკა კვლავაც რჩება მნიშვნელოვან მარკერად მუჰაჯირული იდენტობის შესასწავლად; ის აჩვენებს, როგორ იცვლება ტრადიცია ახალ გარემოში, როგორ ეძებს თვითშეგნებას კულტურული მეხსიერება და სად გადის ზღვარი ასიმილაციასა და იდენტობის შენარჩუნებას შორის.

II.4. ქართველ მუჰაჯირთა სოციალური და კულტურული ინტეგრაცია

მიგრაციის პროცესმა, ქართველ მუჰაჯირთა სრულიად ახალ სოციალურ გარემოში მოხვედრამ გამოკვეთა ერთგვარი კულტურული დაპირისპირება და ქართველთა აშკარა თვითდამკვიდრების მცდელობა. ისინი თვლიდნენ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდა საკმარისი სამეურნეო გამოცდილება, არ იცოდნენ სახლის მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლის ძირითადი წესები. აღსანიშნავია, რომ ყველა რესპონდენტი ერთნაირად საუბრობს, რომ თურქებს არ ჰქონდათ სამეურნეო გამოცდილება, სახლებს პატარა ფანჯრებს უკეთებდნენ, ეზოსთვის ადგილს არ ტოვებდნენ:

„თურქებს ფოთორო სახლი ხონდა, პატარა სახლი საქათმესავენ. თურქებ ფენჯრები პაწად ქონდენ, ფენჯრებზე“ (ორდუ 2013: 200); „ფენჯერე არ იყო აქა, ჩვენებმა გააკეთეს, ბუხარი არ იყო, ჭკვიანმა ხალხმა გამოვდა, აქა ცხოვრება კაი იყო? არა! ტყეები იყო თხილი მაშინ სა იყო?“ (ორდუ 2013: 184).

მოკლედ, კულტურული იდენტობის გავლენა სამეურნეო საქმიანობაზე მნიშვნელოვანია. მუჰაჯირი ქართველი ეწეოდა ისეთ საქმიანობას, როგორსაც აქ, საქართველოში, მისდევდა. ქართველ მუჰაჯირებს შეჰქონდათ თავიანთი სოციალური სტრუქტურა, სამეურნეო პრაქტიკა და ცხოვრების წესები, რაც მნიშვნელოვანწილად აყალიბებს დომინანტური იდენტობის განცდას: მუჰაჯირები ხაზგასმით საუბრობენ თავიანთი გამოცდილებისა და თურქების ჩამორჩენილობის შესახებ.

მასალებიდან კარგად ჩანს **ახალ გარემოსთან ადაპტაციის თავისებურებები და სამშობლოს ხატის გაიდება**: გადასახლებულ მუჰაჯირებს ახალ სამშობლოში საკარმიდამო მოუწყვიათ მშობლიურის მსგავსად, შეუნახავთ მამა-პაპათა ადათები და ტრადიციები. მუჰაჯირები დასახლებლად ეძებდნენ თავიანთი სოფლების მსგავს ტერიტორიებს: ბათუმის მაღლა იერებზე მჟდარან ახლან აინი მუჰებნიან (ორდუ 2013: 189).

მუჰაჯირებს ბათუმიდან წაუღიათ კარტოფილის თესლი, თხილის, შავი ყურძნის, თეთრი ვაშლის, ხეჭეჭური მსხლის ნერგები. „ბათუმიდან მუჰტანიან შავი ყურძენი, თეთრი ვაშლი, ხაჭიჭურად მუჰტანიან“ (ქობ. 2013: 3). „წყავი და წყალი უძებნიან, იელი უძებნიან, იქ დამჟდარან... აქაო წყავმა და წყალმა მომიყვანაო“ (ფაცა 2009).

„თურქიეში ორდუში არი მარტო ხუმბრა, ისტამბულში, ანკარაში... არავინ არ იცის თხილი და ბევრი სხვაც (ჩხავერი, ხეჭეჭური...) მუჰაჯირებმა წაიღეს“ (ფაღავა 2013: 8).

„სამშობლოდან გადახვეწილებმა თან წაიღეს თავიანთი კუთხის ტრადიციები, ფოლკლორი, სამშობლოს ხსოვნა და მეტყველების თავისებურებანი, მშობლიური კილო, რაც მეტ-ნაკლები ცვლილებით დღემდე შემოინახეს... თავიანთი სოფლის წესზე მოაწყვეს ეზო-კარი, ააგეს ქართული ოდა-სახლები, ფანჯრებითა და „ოჯახით“ (ბუხრით), ეზოში ნალია და მერეგიც დადგეს... ისეთი ადგილები შეარჩიეს, მშობლიურს რომ ჰგავდა; დასახლდნენ იქ, სადაც კარგი ჰაერი და წყალი იყო, სადაც „წყავი“ ხარობდა... სამშობლოდან წაღებული თხილიც აშენეს, კაკალიცა და ხეჭეჭურიც, ჩხავერიცა და დემირა ვაშლიც... ყანაც „დაიდგეს“ და მრავალხმიანი ნადურიც იმღერეს, ქობულეთში რომ მღეროდნენ მათი წინაპრები“ (ფაღავა... 2013: 4).

მეტად საინტერესოა შრომის დროს მრავალხმიანი სიმღერის შესრულება: „ნადზე წევდოდით, ნადური სიმღერები იყო სიმინდს მარგლაზე. აჰმედა ბაუჯაძე იყო, იუნუს ცეცხლაძე იყივლებდა: უუ ლილი ლალო, უუ, ლილი ულალო. გაყივლება ძველისძველია, ჩემი ბაბაის გაყივლებას არ მოვსწრივარ. სოფელში პირველი კაცი იყო, ტაკიძნები არიან, მარგლიან, თუ კონცერტს აკეთებენ, ვერ მიხვდები“ (ფაცა 2009:179).

აღსანიშნავია ნადური ლექს-სიმღერების ჟანრობრივი მრავალფეროვნება, არქაულობა და მრავალხმიანობა (ოთხმიანობა) (ინაიშვილი... 1961: 8). „ქობულეთურ ნადურში არც გამყივანე, არც შემხმობარი, არც ბანი სიტყვებით არ მღეროდა. ხმის შეწყობა უტექსტო“ (ნოღაიდელი 1971: 74).

ფაცელი ჯემალ ცეცხლაძე იგონებს: „ნადში ერ თავში მყივარი იყო დანარჩენი ხმას მისცემდენ. ფუტათ წეილებდენ ყანას. იმფრათ სიმღერები იქნებოდა, დეისვენებდი. ჩემი იუსუფ დედე ხმას მისცემდა. არ შეეშლებოდა არავის“ (ორდუ 2013).

2008 წელს ჩაწერილ მასალებში ჩანს გულისტკივილი: „ადრე ქართული ლაპარაკი იყო, ახლა აღარც ნადია, აღარც ნადური სიმღერა“ (ფაცა 2009).

ჩვენებურების სოციალური ინტეგრაცია ასახავს არა მხოლოდ ადაპტაციის მექანიზმებს, არამედ ძალისხმევას, შეინარჩუნონ

თვითმყოფადობა და მოახდინონ ზეგავლენა მასპინძელ კულტურაზე. შრომისადმი დამოკიდებულება ახლა შეცვლილია: „ჩვენზე ზენგინი არიან ახლა, ჩვენებმა არ იმუშავებენ“ (ორდუ 2013: 182).

III. ეთნიკური იდენტობა და მისი ლინგვისტური მარკერები

განვიხილოთ ეთნიკური იდენტობის საზღვრები და სახელდების პოლიტიკა მუჰაჯირთა საუბრებში. განსაკუთრებით საინტერესოა **კულტურათა კონფლიქტები**: და ეთნიკური იდენტიფიკაცია: **ქართველი, გურჯი, გაიური, კუდიანი/კუდურა**

„ჩვენებურები წისქვილზე შევდოდენ, თურქები გეიქცევოდენ, ჩვენებურებმა ჩამოვდენო. ჰალი ისე არიან. ვიცოდე, ზოფა'და ვჰამო, არ გევეცევი? უქსელ ჩილოდლი, 56 წლის“ (ორდუ 2013: 190); „ასი წელი იქნა, ას ოცი წელი იქნა, ჩვენი აქ ჩამოვდენ, გულში ვერ ჩეიდებენ, სახეში გიგიცინებს, უკნედან ან შეგაგინებს, ან რაცხა, ჩუმათ, ხმით ვერა“ (ორდუ 2013: 195).

„აქოური ხალხი ჩვენ მუჰაჯირს გვიძახიან, კილავ ისე გვიძახიან, მუუსლელი, **უმწიფარი ჩვენებურები**“ (ფაცა 2009: 198); „თურქებს **კუდიანს** ვუძახით, იგინი **კოზახს (დუუმწიფებელს)** გვიძახიან“ (ორდუ 2013: 193); „კუდიანებს რატომ ვუძახით და ჩვენფერი ხალხი არაა და იმისთვის. კუდიანი არიან აგინები, ლაზი“ (ორდუ 2013).

„ჩვენ ვერ ვეუზნებით **კუდიანებ**, ჩემი ქალი თურქია“ (სულეიმან ჯინჰარაძე (ფაცა 2024: 190). უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, რომ დამოყვრების შემდეგ ჩნდებოდა რიდი. ამ საკითხთან დაკავშირებით ადრინდელი ცნობები ასეთია: „ჩვენ აქაური ინსნები მოგყავს, მოყავან, მარა ჩვენ არ მოგყავს“ (ორდუ 2013: 196).

კუდიანთან ერთად სიტყვა **კუდურასაც** იყენებდნენ: „თურქს **კუდურა** იუჩივან“ (ორდუ 2013: 276).

ჭახე / მუუსლელი / უმწიფარი ჩვენებურები მეტად იშვიათი ფრაზეოლოგიზმია. **ჭახე** დაღვინებულის, მომწიფებულის, დადუღებულის ანტონიმია. ადგილობრივები, ანუ თურქები, როგორც ჩანს, მუჰაჯირებს იმიტომ ეძახდნენ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ მათს ტრადიციებს, ხოლო თვით მუჰაჯირები **ჭახე ჩვენებურებს** ჭახათლებს უწოდებდნენ მეტყველების თავისებურებათა გამო: „**ჭახე ჩვენებურები** პაპუნაიშვილები არიან“ (იქვე, 2006). შესაძლებელია, ახალმა მასალებმა სხვა სემანტიკური ნიუანსებიც გამოავლინოს (ცეცხლაძე 2013: 35).

უახლეს მასალებში ჩანს ეროვნული იდენტობის საკითხისადმი **ამბივალენტური** მიდგომა: „აქავრი მოქალაქე ვარ, რომ მკითხო, თურქი ვარ, ჰამა, მე ვიცი, რუმ რა ვარ. რათ ჭირია იმას, რომ საქართველოდან ვარ!“ (იამარ ხახუტაიშვილი) (ფაცა 2024). ამ ციტატაში ჩანს იდენტობისადმი პრაგმატიკული მიდგომა.

IV. სარწმუნოებრივი იდენტობის ლინგვისტური მარკერები

ქრისტიანობის კვალიჩანსშელოცვებშიც, სადაც `გაფერმკრთალებულია ქართული ხალხური შელოცვებისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული ელემენტები და რეალიები, მაგრამ... შემონახულია ქრისტიანულ წყაროთა ცალკეული პერსონაჟის სახელები, `წვინდა გიორგი“ (წმინდა გიორგი) [შაკიკის ლოცვაში: `გეიარა წვინდა გიორგი, გეიპარა დილასა]

დღემდე სხვა ქართულ კულტუროლოგიურ ღირებულებებთან ერთად დედასამშობლოსთან ჩვენებურების სულიერი კავშირისა და მათი იდენტობის სამსახურშია“ (შიოშვილი 2013: 73). ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალი შელოცვის ტექსტს ამგვარად იწყებს: „სახელითა ხტითა და მამითა ძითა ლოცვა თვალისა“ (ფაცა 2009, ჰაჯერ ანანიძე. 92 წლის. სოფელი ქორღანი).

106 წლის რესპონდენტი თავისი თავგადასავლის მოყოლისას ხშირად იყენებდა ქრისტიანულ გამოთქმებს: **მამა გიცხონა ღმერთმა, შენ მამაცხონებულო...** „ვორი დღეა აღარ დუულაპარიკებია, მამა გიცხონა ღმერთმა! ყოლიფერი, ყოლიფერი და ჟავე ფხალის წვენი არ გხონდაო? მამა გიცხონა ღმერთმაო!“ (სებილე შავიშვილი, 106 წლის (ფაცა 2024: 192).

კულტურული მეხსიერების ანარეკლი ჩანს ფაცაში 2008 წელს მასალებში: ფრაზეოლოგიზმში: **რუსი ხომ არ მოგდევს?** (ცეცხლაძე 2013: 36). ამ ფრაზაში ჩანს მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზებიც.

V. თანამედროვე გამოწვევები: ენის შენარჩუნების პრობლემები

მუჰაჯირთა შთამომავლობაში ქართული ენის ფუნქცია და მნიშვნელობა დროთა განმავლობაში საგრძნობლად იცვლება. თუ უფროსი თაობებისთვის ქართული არა მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება, არამედ იდენტობის მთავარი საყრდენი იყო, ახალგაზრდა თაობებისთვის მას უკვე ანაცვლებს თურქული.

პროფ. მამია ფაღავა წერს: „მუჰაჯირთა თაობები ინარჩუნებდნენ იდენტობას: ენას, ფოლკლორს, ტრადიციებს... თუმცა იძულებულნი იყვნენ ცხოვრებისათვის გაესწორებინათ თვალი, შეეცვალათ ცხოვრების წესი, ახალ კულტურას გაცნობოდნენ, სახელმწიფო ენა ესწავლათ, სხვაც... თანდათან ორი კულტურის მატარებლად იქცნენ... დაიწყო ასიმილაციის პროცესი, მძიმე და დამთრგუნველი. დღეს მუჰაჯირთა შთამომავლების უფროსმა და საშუალმა თაობამ იცის ქართული, ახალმა უმეტესად არა. იცის მხოლოდ, რომ ქართველია, გურჯია, განსხვავებულია „კუდიანისაგან“ (ასე შეარქვეს თურქებს), „ჩვენებურია“, შესაბამისად, გამტანი და ღორი (ძლიერი)“ (ფაღავა 2013 ბ: 304).

ქართული ენის ცოდნის დონე თაობებს შორის აშკარად განსხვავებულია: ზოგისთვის ის კვლავ შინაურობის, რწმენისა და წარმოშობის ენად რჩება (მათ შორის სიზმარშიც კი), სხვებისთვის კი მხოლოდ ზერელე ცოდნა ან წარსულთან კავშირია. ამ ვითარებას განაპირობებს როგორც განათლების თურქულ ენაზე მიღება, ურბანიზაცია, მიგრაცია და ქართულენოვანი გარემოს სივიწროვე. ენა რჩება მნიშვნელოვან მარკერად, გადასცეს თუ არა შთამომავლობას ქართული, ამით არაერთი მუჰაჯირი განსაზღვრავს საკუთარი იდენტობის გაგრძელებას.

შუშანა ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართულში“, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებშია ჩაწერილი, ვკითხულობთ: „სამი-ვოთხი წლის ბაღიში მყავს, იცის გურჯიჯა. კარი რომ გეიხსნა, ნამეტარი კაი იქნა, მიაღთ-მუალთ ერთმანეთში. გურჯიჯა არ დეიკარქვის“ (ფაცა 1995).

ახალგაზრდა თაობები განათლებას თურქულ ენაზე იღებენ, მისდევენ დროის მოთხოვნებს: „ჩემმა ბაღებმა ქალაქში ქართველი სა'ნა ნახონ?"; ქართულად ლაპარაკობს უმეტესად უფროსი და საშუალო

თაობა, ახალგაზრდობა – იშვიათად. იკვეთება ქართული ენის ცოდნის განსხვავებული დონე: „წინ-წინ თურქებულად ვერ დეილაპარიკებდი, ახლა ოქული (სკოლა) რომ გამოვდა, ჩვენებურ ვერ დეილაპარიკებ, ჰემ თურქებულად, ჰემ ჩვენებურად“ (სარი თოფალოღლი, 89 წლის (ორდუ 2013: 189);

„ქართველი ხალხი აგიაო, ასო არ დუუნახიაო და ლაპარიკობსო... ჩვენი ბაბაები რაცხა რომ ჩამოვდა, ჩვენ იგინები ვიცით, პოლიტიკას და ჰეიმიის ლაპარიკი ვერ ვცნობილობთ. ახლა რაცხა შემოვდა, არ ვიცით; დიდვანებმა მოკტენ, გამოწყედენ. ახლებმა არ იციან, თურქებურად იწავლეს თურმე“ (ორდუ 2013: 185); „ის არ ვიცი, ტყვილი რა ვთქვა? **ჩვენებურაი ჰიჩ ვერ ვთლი:** ათი და ერთი, ათი და ორი – იმფრათ იშტა! გურჯიჯა არ იცოდა, არა! ახლა რომ აქ მოსულან, თლათ“ „თურქები ყოფილან, თურქი! მუჰაჯირჯა ჩემმა ბაღვებმა არ იციან, ხტომილობენ პაწას“ (ფაცა 2024: 201).

ზოგადი სურათი ასეთია: ქართულად ლაპარაკობს უმეტესად უფროსი და საშუალო თაობა, ახალგაზრდობა – იშვიათად.

„ჩვენი მასწავლებელი გვეტყოდა, ვინცხა ქართულა დეილაპარიკებს, დავაჯარიმებო, იმან ქართული არ იცოდა, კაცი ვერ აართმევს ხელიდან ქართველობასო – თავის შვილებზე ამბობს ჩამწერი.

„ახლა ვარ სახლში მე ახლა რა ვასწავლო, ჩვენი სოფლის ხალხი სულ გარეთაა“ (ორდუ 2013: 188-189).

მუჰაჯირთა ზოგი შთამომავალი იცავს ქართულ იდენტობას და სიზმარსაც ქართულად ხედავს: „სიზმარში ადნი გურჯულად, თურქულად არ დემესიზმება (ჰაჯი-ომერ ვარშალომიძე, სალიბაზარი) (ფადავა 2013 ა: 15).

VI. კულტურული მეხსიერება გენდერულ და ასაკობრივ ჭრილებში

დამუშავებული მასალა ნათლად წარმოაჩენს, რომ იდენტობის ფორმირებასა და მის ცვლილებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება როგორც ასაკობრივ, ისე გენდერულ ფაქტორებს. კულტურულ მეხსიერებასა და ყოველდღიური ცხოვრებაში ჩანს, როგორ გარდაიქმნება ენობრივი კომპეტენცია, ტრადიციული რიტუალები და სოციალურ-როლური დისტრიბუცია ასაკისა და სქესის მიხედვით.

VI.1. იდენტობა და ასაკობრივი ასპექტები

ენის ცოდნა და ასაკი: მასალიდან ჩანს, რომ ასაკობრივი სხვაობები გავლენას ახდენს ენობრივ კომპეტენციაზე. იკვეთება შემდეგი ტენდენცია: უფროსმა თაობამ უკეთ იცის ქართული, ახალგაზრდობაში კი ენის ტრანსფორმაციის ნიშნებია.

კულტურული ტრადიციების გადაცემა და ასაკი: ტრადიციული წეს-ჩვეულებები, მაგალითად, მშობლების მიერ შვილების ბედის გადაწყვეტა, მოძველებულია, თუმცა გევეზობა ქორწილში, რომელსაც ძველი თაობა იცავდა, ახალ თაობაში იშვიათია ან გამქრალია. ძველმა თაობამაც გააცნობიერა მისი ზიანი.

სამეურნეო გამოცდილება და ასაკი: ტექსტიდან ჩანს, რომ პირველად ჩამოსული ქართველები (უფროსი თაობა) უკეთ ერკვეოდნენ სამეურნეო საქმიანობაში, რაც გამოცდილების ნაწილია და ახლა სხვაგვარად აღიქმება.

VI. 2. იდენტობა და გენდერული მახასიათებლები

ქორწინების პრაქტიკა და გენდერი: ქალისა და კაცის როლები ტრადიციულ ქორწილში მკაფიოა, მაგალითად, დედოფლის ოჯახში გათენების ტრადიცია და გოგოს ფეშინში გაყოლა აჩვენებს ქალის რიტუალურ და საზოგადოებრივ როლს ქორწილში.

გლოვის რიტუალებში გენდერული როლები: ტექსტის მიხედვით, ჩანს, რომ ქალები უფრო აქტიურ როლს თამაშობენ გლოვის პროცესში (ტირილი, სამგლოვიარო საჭმლის მომზადება), რაც ტრადიციულად ქართულ სოფლის საზოგადოებაში ქალისა და კაცის ფუნქციების განაწილებას შეესაბამება.

კულინარიული პრაქტიკაც გენდერულ იდენტობას უკავშირდება.

ამრიგად, არსებულ მასალებში აშკარად იკვეთება განსხვავებული ასაკობრივი მახასიათებლები: ენობრივი კომპეტენცია, ტრადიციების ცვლილება, სამეურნეო გამოცდილება თაობათა მიხედვით. იკვეთება, ასევე „გენდერული მახასიათებლების სხვაობაც: ქორწინების წესები, სამგლოვიარო რიტუალები, სამზარეულო ტრადიციები და ქალის როლი.

დასკვნა

თურქეთში მცხოვრებ ქობულეთი მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნიკური იდენტობა დინამიკური ფენომენია, რომელიც მულტიფაქტორულია: განპირობებულია როგორც კულტურული მეხსიერების, ისე სოციოკულტურული გარემოს გავლენით. მასში აისახება ასაკობრივი და გენდერული ფაქტორების ზემოქმედებაც, სამშობლოს ხატის იდეალიზაციაც, ახალ გარემოსთან ადაპტაციის სპეციფიკა, ასევე, კულტურათაშორისი დიალოგებისა და კონფლიქტების ნიშნები. ნათელია ქართული კულტურული ტრადიციების გავლენა თურქების სამეურნეო პრაქტიკაზე: მათ ახალ გარემოში შეიტანეს და შეინარჩუნეს ქართული სოფლის მეურნეობის კულტურები (კარტოფილის თესლი, თხილი, ყურძენი). შრომისადმი დამოკიდებულება დღესდღეობით შეცვლილია და შედეგად სახეზეა: თურქები უფრო მდიდრულად ცხოვრობენ.

გენდერული სხვაობა მკვეთრად აისახება ქორწინების, გლოვის წეს-ჩვეულებებსა და კულინარიაში.

კულინარიის სფეროში ყველაზე კარგადაა შენარჩუნებული იდენტობა: დაცულია ქართული კერძები (დომი, (მ)ჭადი, ფხალი, ხაჭაპური), თუმცა პარალელურად გავრცელებულია თურქული კერძები (ჩორბა, ბორელი, სურუნჯი, ტათლი).

სამზარეულოში საქმიანობა კვლავაც ქალის ძირითად ფუნქციად აღიქმება, რაც გენდერულ იდენტობას უკავშირდება. ქალების განსაკუთრებული როლი გამოვლინდა გლოვასა (ტირილი, სამგლოვიარო საჭმლის მომზადება) და კულტურული მეხსიერების გადაცემაში. გლოვის წესები მუსლიმურ ტრადიციებზეა მორგებული.

მუჰაჯირების შთამომავლები ინარჩუნებენ ეთნიკურ იდენტობასა და კულტურულ მეხსიერებას. ისინი დღეს მუსლიმები არიან, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ქრისტიანული კვალი.

ასაკობრივ ჯგუფებში აშკარაა ენობრივი კომპეტენციის სხვაობა: უფროსი თაობა უკეთ ფლობს ქართულს, მაშინ როცა ახალგაზრდებში შეიმჩნევა ენის ტრანსფორმაციის ნიშნები: ისინი ქართულ საუბარს იგებენ, თუმცა უმეტესობა ქართულად ვერ ლაპარაკობს. ენობრივი ასიმილაციის

ხარისხი ახალგაზრდებში იზრდება, რადგან ისინი განათლებას თურქულ ენაზე იღებენ და ენობრივი იდენტობის შენარჩუნებაში მათი როლი ასაკოვან თაობასთან შედარებით შესუსტებულია.

ხანდაზმული თაობა ახალგაზრდებისგან განსხვავებით ინარჩუნებს როგორც ენობრივსა და კულტურულ იდენტობას, ისე ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას.

განსაკუთრებულად საგულისხმოა ქორწინების წესების ცვლილება: შერეული ქორწინება უკვე მიღებულია, ხოლო ზოგიერთი ტრადიცია (სუფრის დაკავება, გევეზობა) ბოლო წლებში მივიწყებულია. თვით უფროსი თაობის წარმომადგენლებიც მიუთითებენ იმ ზარალზე, რომელიც ამ ტრადიციებმა გამოიწვია, რაც გადაფასების საფუძველად იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ინაიშვილი... 1961: ინაიშვილი ა., ნოღაიდელი ჯ., ჩხიკვაძე გრ., მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.

მგელაძე 2013: მგელაძე ნ., ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის საზღვრისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2013.

ნიჟარაძე 1975: ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი, 1975.

ნოღაიდელი 1971: ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I. ბათუმი, 1971.

ორდუ 2013: ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება (მასალები), ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2013.

ფაღავა 2013 ა: ფაღავა მ., ქობულეთურის ზოგი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით (წინასწარი მოხსენება). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2013;

ფაღავა 2013 ბ: ფაღავა მ., ქართველი მუჰაჯირები ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში (ილებში) (ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალები). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლო-გიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 201.

ფაღავა... 2013: ფაღავა მ., შაშიკაძე ზ., ჩოხარაძე მ., მგელაძე ნ., ექსპედიცია მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2013.

ფაღავა... 2017: ფაღავა მ., ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები: ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი, 2017.

ფაცა 2009: ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთური მასალები / რსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. VI. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2009.

ფაცა 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა. ბათუმი, 1993.

ფაცა 2024: ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება (ორდუს ვილაიეთის ფაცის სოფლებში ჩაწერილი მასალები). ფილოლოგიური მაცნე VII, 2024. <https://pb.openjournals.ge/index.php/philologicalbulletin/issue/view/969/505> (დამოწმება 21.07.2025).

ღლონტი 1974: ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. წ. 1, 2. გამომც. „განათლება“. თბილისი, 1974.

შიოშვილი 2013: შიოშვილი თ., სამკურნალო შელოცვები ქართველ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერებაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ბათუმი, 2013.

ჩოხარაძე 2013: ჩოხარაძე თ., ჩვენებურთა სამზარეულო, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. „ბათუმის უნივერსიტეტი გამომცემლობა“. ბათუმი, 2013.

ცეცხლაძე 2013: ცეცხლაძე ნ., ხატოვანი სიტყვა-თქმები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტი, კრებული VII. „ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2013.

Робакидзе 1982: Робакидзе Ал.. От редактора. „Очерки этнографии Аджарии“. Москва, 1982.

References

Chokharadze 2013: Chokharadze T., Cuisine of Muhajirs, Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII. “Batumi University Press”. Batumi, 2013.

Fatsa 1993: Putkaradze Sh., The Georgian Language of „[Chveneburebi]“ Adjara magazine-newspaper publishing house. Batumi, 1993.

Fatsa 2009: Khakhutaishvili M., Putkaradze Sh., Kobuleti Materials / Collection of the Scientific-Research Center of South-West Georgia, Faculty of Humanities, Shota Rustaveli State University, Vol. VI. “Batumi University Press”, Batumi, 2009.

Inaishvili...1961: Inaishvili A., Noghaidei J., Chkhikvadze Gr., Materials from Adjarian Musical Folklore, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR. Tbilisi, 1961.

Mgeladze 2013: Mgeladze N., Marriage and Wedding Traditions in the Black Sea Littoral Among Georgian Muhajirs in Turkey (Villette of Ordu and Samsun). Faculty of Education and Sciences, BSU, Institute of Kartvelology, Collection VII, “Batumi University Press” Batumi, 2013.

Nijaradze 1975: Nijaradze Sh., The Adjarian Dialect, Publishing House “Soviet Adjara“. Batumi, 1975.

Noghaideli 1971: Noghaideli J., Essays and Notes, Volume I. Batumi, 1971.

Ordu 2013: Speech of Muhajirs from Ordu (Materials). Faculty of Education and Sciences. Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII, Batumi. University Press. Batumi, 2013.

Ordu 2024: Khakhutaishvili M., Tsetskhladze N., Speech of the Descendants of Kobuleti Muhajirs Materials Recorded in the Villages of Fatsa, Vilayet of Ordu), Philological Bulletin VII. Online, 2024 <https://pb.openjournals.ge/index.php/philologicalbulletin/issue/view/969/505> Accessed on July 21, 2025.

Paghava 2013 a: Paghava M., Some Peculiarities of Kobuleti according to the Speech of Muhajir.

Descendants, Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII. “Batumi University Press“. Batumi, 2013.

Paghava 2013 b: Paghava M., Georgian Muhajirs in the Vilayets of Ordu and Samsun (Folkloric and Dialectological Materials). Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII. “Batumi University Press“, Batumi, 2013;

Paghava... 2017: Paghava M., Tsetskhladze N., Southern Dialects– Basic declension and conjugation paradigms. Publishing House „Iverioni“ Tbilisi, 2017 <https://bitly.ws/3fqZJ> Accessed on July 21, 2025.

Paghava... 2013: Paghava M., Shashikadze Z., Choxaradze M., Mgeladze N., Expedition to Muhajir Descendants, Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII. “Batumi University Press“, Batumi 2013.

Robakidze 1982: Robakidze Al., From the Editor. Essays for Ethnography of Adjara. Moscow, 1982.

Shioshvili 2013: Shioshvili T., Healing Spells in the Oral Tradition of Georgian Muhajirs. In Proceedings of the Institute of Kartvelology, Vol. VII. Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University. Batumi University Press. Batumi, 2013;

Tsetskhladze 2013: Tsetskhladze N., Figurative Words and Expressions according to Speech of Descendants of Kobuleti Refugees. Faculty of Education and Sciences, Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Kartvelology, Collection VII. „Batumi University Press“. Batumi, 2013.